საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევდემოზ II

ევდემოზ II (დ ი ა ს ა მ ი ძ ე), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1701–05. კათოლიკოსად ქართლის მეფემ ერეკლე I-მა დააყენა, როგორც თავისი ნათესავი და პოლიტიკის მომხრე. 1705, ვახტანგ VI-ის ინიციატივით, რ-საც თავისი ეროვნ. პოლიტიკის თანამოაზრე ეკლესიის მესაჭე ესაჭიროებოდა, საეკლ. კრებამ ე. II გადააყენა და მის ნაცვლად აირჩია ვახტანგ VI-ის ძმა – დამიანე ბაგრატიონი (საეკლესიო ტახტზე – დომენტი IV).

ლიტ. იხ. სტ-თან ე ვ დ ე მ ო ზ I.

ბ. ლომინაძე